საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის

ბრძანება №18

2015 წლის 6 თებერვალი

ქ. თბილისი

„პატიმრობის, თავისუფლების აღკვეთის, შერეული ტიპის ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა დაწესებულებების, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებისა და ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრის დებულებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 30 მაისის №97 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„პატიმრობის, თავისუფლების აღკვეთის, შერეული ტიპის ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა დაწესებულებების, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებისა და ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრის დებულებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 30 მაისის №97 ბრძანებაში (სსმ, 100020020.22.038.016052, 03/06/2011) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული დებულების მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. სპეციალური აღრიცხვის განყოფილება

1. სპეციალური აღრიცხვის განყოფილების ძირითადი ამოცანებია:

ა) ბრალდებულთა აღრიცხვა;

ბ) ბრალდებულთა პირადი საქმეების წარმოება;

გ) ბრალდებულთა ერთი დაწესებულებიდან მეორეში გადაყვანის, შეწყალების, გათავისუფლებისა და სხვა შესაბამისი ფუნქციების განხორციელება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ამოცანები.

2. სპეციალური აღრიცხვის განყოფილება უფლებამოსილია ამ მუხლით განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მიიღოს და გამოიყენოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში არსებული პერსონალური მონაცემები.“.

2. ბრძანების მე-2 მუხლით დამტკიცებული დებულების მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. სპეციალური აღრიცხვის განყოფილება

1. სპეციალური აღრიცხვის განყოფილების ძირითადი ამოცანებია:

ა) მსჯავრდებულთა აღრიცხვა;

ბ) მსჯავრდებულთა პირადი საქმეების წარმოება;

გ) მსჯავრდებულთა ერთი დაწესებულებიდან მეორეში გადაყვანის, შეწყალების, გათავისუფლების დოკუმენტაციის მომზადება და სხვა შესაბამისი ფუნქციების განხორციელება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ამოცანები.

2. სპეციალური აღრიცხვის განყოფილება უფლებამოსილია ამ მუხლით განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მიიღოს და გამოიყენოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში არსებული პერსონალური მონაცემები.“.

3. ბრძანების მე-4 მუხლით დამტკიცებული დებულების მე-11 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 11. სპეციალური აღრიცხვის განყოფილება

1. სპეციალური აღრიცხვის განყოფილების ძირითადი ამოცანებია:

ა) ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა აღრიცხვა;

ბ) ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პირადი საქმეების წარმოება;

გ) ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ერთი დაწესებულებიდან მეორეში გადაყვანის, შეწყალების, გათავისუფლების და სხვა შესაბამისი ფუნქციების განხორციელება;

დ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ამოცანები.

2. სპეციალური აღრიცხვის განყოფილება უფლებამოსილია ამ მუხლით განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მიიღოს და გამოიყენოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში არსებული პერსონალური მონაცემები.“.

4. ბრძანების მე-5 მუხლით დამტკიცებული დებულების მე-11 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 11. სპეციალური აღრიცხვის განყოფილება

1. სპეციალური აღრიცხვის განყოფილების ძირითადი ამოცანებია:

ა) ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა აღრიცხვა;

ბ) ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პირადი საქმეების წარმოება;

გ) ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ერთი დაწესებულებიდან მეორეში გადაყვანის, შეწყალების, გათავისუფლების და სხვა შესაბამისი ფუნქციების განხორციელება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ამოცანები.

2. სპეციალური აღრიცხვის განყოფილება უფლებამოსილია ამ მუხლით განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მიიღოს და გამოიყენოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში არსებული პერსონალური მონაცემები.“.

მუხლი 2
ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა
და პრობაციის მინისტრი **გიორგი მღებრიშვილი**